

შპს საქართველოს ნერგები
ს/კ: 404942700



ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

ქ.თბილისი

შპს „საქართველოს ნერგები“ 404942700
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	<2>
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	<3>
სრული შემოსავლის ანგარიშგება	<4>
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	<5>
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	<6>
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	<7-14>

შპს „საქართველოს ნერგები“-ს (ს/კ: 404942700) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „საქართველოს ნერგები“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას; სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას, 2024 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლისთვის, „მსს“ ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, რომელიც უზრუნველყოფს შესადარის, მართებულ, საიმედო, დროულ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მხარეებმა გააანალიზონ კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და მის „მსს“ ფასს-თან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 11 სექტემბერს.

დირექტორი:

კ. ქარჩავა

ბ.ა.

16 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, ქ. თბილისი

*7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ნერგები“ 404942700
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3.5.	7,068,695	7,219,171
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,068,695	7,219,171
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	3.6.	6,396,821	6,367,542
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	715,936	438,161
ფული და ფულის ექვივალენტები	3.2.	22,969	106,426
სულ მიმდინარე აქტივები		7,135,726	6,912,129
სულ აქტივები		14,204,421	14,131,300
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		59,954	
გაუნაწილებელი მოგება	3.9.	8,249,144	8,933,333
სულ კაპიტალი		8,309,098	8,933,333
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	2,877,796	2,380,600
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,877,796	2,380,600
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,552,597	1,352,436
სხვა ვალდებულებები		1,464,931	1,464,931
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,017,528	2,817,367
სულ ვალდებულებები		5,895,324	5,197,967
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,204,421	14,131,300

დირექტორი:

კ. ქარჩავა

ბ.ა.

16 სექტემბერი 2025 წელი
 საქართველო, ქ. თბილისი

*7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ნერგები“ 404942700
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

სრული შემოსავლის ანგარიშგება
საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი
საოპერაციო შემოსავალი	4	4,044,377	3,192,724
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	5	(2,524,591)	(1,755,998)
არასაოპერაციო შემოსავალი	4.1.	209,600	146,224
საერთო მოგება/(ზარალი)		1,729,387	1,582,950
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,413,576)	(1,928,955)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(684,189)	(346,005)

დირექტორი:

კ. ქარჩავა

ბ.ა.

16 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, ქ. თბილისი

*7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ნერგები“ 404942700
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2023 წელი		8,933,333	8,933,333
საწესდებო კაპიტალი	59,954		59,954
საოპერაციო წლის დაგროვილი ზარალი	3.9.	(684,189)	(684,189)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	59,954	8,249,144	8,309,098

დირექტორი:

კ. ქარჩავა

ბ.ა.

16 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, ქ. თბილისი

*7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „საქართველოს ნერგები“ 404942700
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საოპერაციო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

ფულადი სახსრების ანგარიში

	31-12-24 საანგარიშგებო პერიოდი	31-12-23 საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(302,152)	(1,533,544)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(194,763)	25,570
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	419,210	1,184,891
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(77,704)	(323,082)
სავალუტო კურსის ეფექტი	(5,753)	(28,844)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	106,426	458,352
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	22,969	106,426

დირექტორი:

კ. ქარჩავა

ბ.ა.

16 სექტემბერი 2025 წელი
საქართველო, ქ. თბილისი

*7-14 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „საქართველოს ნერგები“ (ს/ნ: 404942700), შემდგომში „კომპანია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაარსდა და დარეგისტრირდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 26 აპრილს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ატენის ქ. #6/8, ბინა # 75.

კომპანიის მესაკუთრე:

შპს „საქართველოს მარანი“ _204981868 (100%);

კომპანიის დირექტორია:

კობა ქარჩავა, 48001002182

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, საბითუმო ვაჭრობა ყვავილებითა და სხვა მცენარეებით.

2. მომზადების საფუძვლები

2.1. შესაბამისობა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო კომპანიებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი კომპანიის დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად კომპანიად საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეული სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებ(ებ)ის საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია, საოპერაციო ვალუტაში - ქართული ლარი (GEL).

2.2. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, ჩაწერილია ფუნქციონალურ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული, დადგენილი კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023

1 აშშ დოლარი->ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო->ლარი	2.9306	2.9753

2.3. ფუნქციონირებადი კომპანია

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების და ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალში დარჩება ფუნქციონირებად კომპანიად და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე. შეფასებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში, შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებების ნაწილზე, მომავალ პერიოდში.

3.2. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშ(ებ)ზე რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თანხა ბანკში	22,969	106,426
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	22,969	106,426

3.3. სავალუტო რისკი

კომპანიაში ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მცირდება საბაზრო ფაქტორების გათვალისწინებით, უცხოური ვალუტის კურსის დევალვაციის პირობების გათვალისწინებით.

3.4. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ან შესაბამისად გადინება. შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების

შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

3.5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	სხვა	არამატ.აქტ.	ჯამი
31 დეკემბერი 2023 წელი	5,838,803	43,936	1,326,617	9,933	7,219,171
მიღებული	-	-	123,635	-	123,635
ცვეთის ხარჯი	-	(8,787)	(265,442)	-	(274,111)
გასული	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024 წელი	5,838,803	35,149	1,184,810	9,933	7,068,695

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღრიცხულია, მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგენილია შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების (თუ კი არსებობს ეს უკანასკნელი), გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

3.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მარაგები	6,396,821	6,367,542
სულ მარაგები	6,396,821	6,367,542

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის.

3.7. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ (ზარალის დადგომის შემთხვევა), და ზარალი დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მისალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა. კომპანია ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი გადაცემული ან რეალიზებულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წელს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება, ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. ჩამოწერის ამოღების შემთხვევაში იგი ასახება მოგება-ზარალში.

3.8. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.9. კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს კაპიტალის მოძრაობა განპირობებულია მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მიხედვით მიღებული დაგროვილი ზარალის შესაბამისად.

	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2023 წელი	8,933,333	-	8,933,333
საწესდებო კაპიტალი	-	59,954	59,954
საოპერაციო წლის დაგროვილი ზარალი	(684,189)	-	(684,189)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	8,249,144	59,954	8,309,098

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი	2024 წელი	2023 წელი
მთლიანი შემოსავალი		
სულ შემოსავალი	4,044,377	3,192,724
	4,044,377	3,192,724

4.1. არასაოპერაციო შემოსავალი

2024 წლის საოპერაციო წრილში, კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 209,600 ლარი, გრანტებიდან მიღებული შემოსავალი.

5. რეალიზაციის თვითღირებულება

თვითღირებულება ეს არის ღირებულება, რომლითაც აქტივების აღიარება ხდება მათი შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულით ან ფულის ექვივალენტებით.
 თვითღირებულებაში შედის: აქტივის შესყიდვის ფასი, საბაჟო და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე; ტრანსპორტირებისა და განთავსების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სარეალიზაციო მდგომარეობაში მოყვანასთან.
 თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

თვითღირებულება	2024 წელი	2023 წელი
თვითღირებულება	2,524,591	1,755,998
სულ თვითღირებულება	2,524,591	1,755,998

6. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ცვეთის ხარჯი	274,111	342,952
შრომის ანაზღაურება	1,366,514	1,022,204
საწვავის ხარჯები	89,748	118,653
საიჯარო ქირა	71,389	52,935
ბანკის საკომისიო	15,593	4,999
კომუნალურის და კომუნიკაციის ხარჯები	64,169	50,617
კომუნიკაციის ხარჯები	5,008	7,939
საპროცენტო ხარჯი	347,539	209,205
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	179,505	119,451
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,413,576	1,928,955

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	253,345	210,615
სხვა ვალდებულებები	5,540,100	4,882,397
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	101,878	104,955
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,895,324	5,197,967

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

8. სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა
სს თიბისი ბანკი	31.12.2020	25.12.2030	13%(რეფ.განაკვეთს+5%)	GEL

მიმდინარე გრძელვადიანი სესხი, „კომპანია“-ს აღებული აქვს 2020 წლის 31 დეკემბერს, „შელვათიანი აგროკრედიტის პროექტი“-ს ფარგლებში; საბანკო კრედიტის ხელშეკრულების (N2319825-11244260) საფუძველზე, რომლის მიხედვითაც წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობა შეადგენს 13%(რეფინანსირების განაკვეთს+5%), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 13.84%.

9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

10. კაპიტალი

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, რომლის აღიარებაც მოხდება როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში.

11. დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოვლენულია გაუფასურების რეზერვი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	715,936	438,161
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	715,936	438,161

13. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა.

14. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

15. საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ექვემდებარება დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორსაც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

16. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.